



ფოტოგრაფი ჯემალ ლოლუა

სსრკ 60

საქართველო

სურათზე: დვიკლი ქვაბი — ჩვენი ქვეყნის სატირულ-იუმორისტული ჟურნალები (აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ჩრდილოეთიდან სამხრეთით) — კროკოდილი, დაქისი, ვოზნი, ვოშიკი, კავკანი, კიკარუში, კირკი, მუშტუმი, პაჩავიში, პერაცი, არა, ვიკარი, თოქმაქი, შლუოტა, ჩიანი, ჩალკანი, ჩუშკანნი, ხანაქი, სორაუშტაკი, ნიანნი.

ISSN 0132-6015

ნიანნი

23-24

1982



# ეს გაუმარჯოს!




ეს გაუმარჯოს სამოც წელს დიდი საბჭოთა კავშირის!  
**გვფარვიდეს მისი სადროშო — უკიდევანოდ გაშლილი!**  
 ეს გაუმარჯოს შვილივით მის მკერდში ჩაკრულ ყველა ერს!  
 იმ ათას ცხრაას ოცდაორს და იმ ოცდაათ დეკემბერს!  
 ლენინით ამზიანებულ იმ უპირველეს ყრილობას  
 და ყრილობაზე ფიცივით საძმოდ დადებულ პირობას!  
 ეს გაუმარჯოს, ამ დღისთვის ვინაც სიცოცხლე განირა,  
 ვინც ბორკილასყრილ ხელებით ძმობის აკვანი არნია!  
 ვინც სიკვდილს მკერდით აღუდგა და ვერც სიკვდილმა შებედა,  
 და გადაიქცნენ გმირებად, ლეგენდებად და ძეგლებად!  
 ეს გაუმარჯოს თხუთმეტ ძმას — შეფიცულს ღვიძლი ძმებივით,  
 სამშობლოს საძმო კალოზე შეკრულებს პურის ძნებივით!  
 ეს გაუმარჯოს თხუთმეტ შვილს — თხუთმეტი მართვეს  
 საბუდარს,  
 ვინც დიდი ქვეყნის კარიბჭეს დარაჯობს, როგორც საკუთარს!

სამოცი წელი საძმოში ერთი მიზნისთვის ვიარეთ!  
 ერთად ვიყოფდით სიხარულს, ვინაწილებდით იარებს!  
 გვახსოვს, მზუზუნელი მტერი რომ იმუქრებოდა მოსპობას,  
 კიევში მოსკოვს ვიცავდით და დედათბილისს — მოსკოვთან!  
 ყველა ერი რომ ერობდა, ყველა ფუძე რომ ფუძობდა,  
 ეს მიტომ, გამარჯვებას რომ ერთა კავშირი უძლოდა!  
 ვდღეგრძელობთ მონიჭებული კონსტიტუციურ უფლებით:  
 რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და  
 თურქმენი!

სიხარულსა და გაბაჭირს გულში თანაბრად ვიტევდით:  
 ლატვიელი და სომეხი, ესტონელი და ლიტველი!  
 ბევრი გვყოლია გულმტერი, მოძალადე და მოდავე,  
 მაგრამ არ ჩაუმუხლიათ აზერბაიჯანს, მოლდავეთს!  
 ძმობაში გამონრთობილნი ათას განსაცდელს ვუძლებდით:  
 ყაზახია თუ ტაჯიკი, ყირგიზია თუ უზბეკი!  
 კვლავაც მხარიმხარ ვიაროთ რწმენით, მიზნებით, ძიებით!  
 საქართველოდან მოგდახით  
 ძმანო, თქვენით ვარ ძლიერი!

**გარამ კლდიაშვილი**





# ბავშვების ფორუმი

მეზღვევლად დაერიდა ბავშვების სივილს — გამოვიდა ქოხიდან... გადაიარა ეზო... უზო-უკვლოთ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოვარდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიფრქვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი“... „ბავშვები“... „ხარი“... ისევ ადგა, ჯერ შარავანს გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია. დაუძახა ვიღაცამ. მობრუნდა.

— გუშინ რომ მოხვევ ფევილი, ღმერთო! მონამე, არ მქონდა; აი, დღეს ქე მაქ ცოტა, და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო — იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო.

— მომეცი! — მოკლეთ მოუჭრა და ღობეს მიადგა.

— ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი. მე თვითონ წამოვიღებ.

ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა.

— რა დაგემართა, კაცო?

— არაფერი!

— ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ჩვენკენაც მოიხედავს...

ნელა შემობრუნდა, უხმოთ მოშორდა მოხუც დედაკაცს — თავის ნათლიას, რომელიც გულში ფიქრობდა: შენი მტერია, ეს ნახევარი ჯამი ფევილი კი დაგვარგე... მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს... რას უშველის, საწყალს, ნახევარი ჯამი?... ეს, ღმერთო, ღმერთო!

— მამა, ფევილი მოიტანე? — ახრიალდნენ ბავშვები.

— გვაჭმევ?

— კი, შვილო, კი, ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს. ბავშვებს უთქმელათ მოჭეინდათ ფინიხი, ანთებდნენ ცეცხლს, აწყობდნენ და ასწორებდნენ კეცებს.

მამამ წუთში მოზილა ცოში და გავარჯარებულ კეცებს დააკრა; ბავშვების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ, კარგი იქნებოდა, ჭადების გამოცობამიდი, მათი თავიდან მოშორება.

— აბა, ბიჭებო, ნადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრაბუში გამოართვით — ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშვები გაიქცენ.

ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიღვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღედრა...

მეორე ლუკმა...

სწავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

— მომეცი, მამა!

— მეც!..

— გადიო, თქვე გასაწყვეტლებო!

— მამა, მამა!..

— მამა, ერთი ლუკმა!

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა; იქედანაც თვალზე ცრემლმუხმხმარი ბავშვები ძალღებვიით კნაოდნენ და იძახდნენ: — მამა, გვაჭამე!

ყურადღებებს არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიბუჭა პირში ბავშვების მიერ მოტანილი ოხრაბუში და წავიდა... გადავიდა ტყვეში... მინვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებულ, თვალგახილულ, მთვლემავე წამოინია, დაჯდა.

ბავშვების სივილი მოაგონდა...

მე შეეჭამე...

ბავშვებს არაფერი ვაჭამე...

ღმერთო, რა მომივიდა?..

სირცხვილი!.. ხალხს რაღა ვუთხრა?! ვაი თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშვებთან...

გადაბელილი ბულის ძირში მიგდებულყვენი... ეძინათ... მამა მიუწეა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავაღვიძო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!..

უმცროსს გამოელეცა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

— მამა!.. — წყნარათ დაიწყო ბავშვმა.

— რა, შვილო? — ნაზათ უპასუხა.

— მთლად შეჭამე?

— !!

— მამა, ცოტა იქნება დაგრჩა — მომეცი... მუცელი მტკივა — არ გაგამხელ...

მამას ზღუქუნნი წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაეღვიძა „მშია“-„მშინას“ ძახილით.

მამა წამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სდოდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბანარი ტოტს მაგრათ მიაბა, მარყუჟი გამოსკენა მეორე ბოლოში, გაშინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და...

კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: — ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა... ვინ მოუვლის დამშულ ობლებს?!



— რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბანრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა! — ბრახობდა და ინყევებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა...

ნიკო ლორთქიფანიძე  
1922 წ.

## ბრახულია „გმირკაბით“

გაზატი „თბილისში“ ეწერა:

ჩვენიან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი საკვები პროდუქტი იყრება უმიზნოდ. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორი ათას ტონამდე ასეთი დანაკარგი აღირიცხა.

პროდუქტს, რაგინდ ბევრი ვანარმოთ, გაფრთხილება უნდა! ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დავიგვიანა წრეგადასული ნადიმები, უზომოდ კვების ჩვევა!

ცოდა გამხელილი სჯობს და, მინდა ერთი ფინელი კოლეგის შენიშვნა გაგიზიაროთ ჩვენებურ მასპინძლობაზე: „თქვენთან, როგორც ჩანს, ნადიმის შემდეგ იმდენ პროდუქტს ყრით, რომ ჩვენს ქვეყანაში მთელ ოჯახს მთელ თვეს გამოკვებავდაო“.

ამას წინათ მეგობარმა დამირეკა, შენუხებული ჩანდა, — 50 მანეთი მასესხეო!

— კი, გენაცვალე, ხომ მშვიდობაა-მეთქი?! — ვკითხე.

— ბავშვი მიდის ექსკურსიაზე ბეთანიაში!

ცოტა უტაქტოდ კი გამომივიდა, მაგრამ გაოცება ვერ დაეფარე:

— მერე, ამდენი ფული რად გინდა-მეთქი?!

— მთელი ჯგუფი ასე კრებს და ამან რომ არ მიიტანოს, ხომ მოკვდა ტირილით, არადა, ხელფასამდე ჯერ ორი კვირაა, საიდან მივცე?!

პირდაპირ უთქვამს მასწავლებელს: პური და ძეხვი არ დამანახოთ, სხვა მასწავლებლებსაც ვპატივებთ და თავი არ შეირცხვინოთ, გოჭიც უნდა იყოს, ღვინოც და ყველაფერი!

მიუტანე ფული და ვთხოვე, ბავშვი ექსკურსიიდან რომ დაბრუნდება, ამბავი გამაგებინე-მეთქი!

დამირეკა.

— ზღაპრული პურ-მარილი ჰქონიათ. საცხვი ვედროთი წაულიათ. თავსაყრელად ჰქონიათ ნიგვზიანი, შემწვარი, მოხრაკული, ნამცხვრები!..

ღვინო მოსწავლებლებსაც უწრუბიათ ცოტ-ცოტა და გვარიანად გამობურბურებულან!..

— ტაძარში თუ იყვნენ?

— არა, დაკეტილი ყოფილა და ვერ შესულან! ქვეყნის პურ-მარილი მორჩენიათ!.. ასლა იმაზე მისკდება გული, დანარჩენმა ორმაც რომ მომთხოვოს ექსკურსიაზე წასვლა, შენ მამინ ნახე ჩემი მდგომარეობა! — დასძინა.

ნიმნში, გაზატიში ეწერო, რომ პურს გაფრთხილება უნდა, რომ მას ხალხი ოდითგანვე ისე ექცეოდა, როგორც წმინდა რასმე. ძირს დაგდებულს აიღებდა, აკოცებდა — თითქოს, გადამგდებლის ნაცვლად, ბოღიშს უხდიდა უდიერი მოპყრობისათვის და სადმე ზემოთ შემოდებდა.

ამას ვწერო და ვასწავლით ბავშვებს. სწორადაც ექცევიო, მაგრამ როცა ასე უსაზღვრო და უნაპირო პურ-მარილს ვაკეთებთ და, რაც მთავარია, ასევე დიდი რაოდენობით მორჩენილ ხორაგს ვყრიო, ამით უყარათობის, სხვისი შრომისადმი უპატივცემლობის, ვიტყვოდი, საეჭვო ზნეობრივი ღირებულების მაგალითს ვაძლევთ მათ.

რატომღა აკოცებს პურის ნატეხს, როცა ხაჭაპურს ტყეში პურის და ვედროთი საცხვი ღვრის?!

ბავშვი ამხანაგის დღეობიდან დაბრუნდა.

ჰკითხავ: რა იყო საინტერესო, რა მოისმინე, რა გაიგე, რა ითამაშეთ? მსგავსი არაფერი! აქაც დომინირებს სუფრა, დიდი, ზედმეტად მდიდრული სუფრა. რად უნდა 12-13 წლის ბავშვს ათი და მეტხნაირი საქმელი?

რისი დამტკიცება გესურს ამით?

მშობლის ასეთი ხელგაშლილობის სამწუხარო შედეგი კი ის გახლავთ, რომ მოზარდს ყოველივე ეს კინალამ ციდან ჩამოყრილი, უშრომლად ნაშოვნი ჰგონია, მეტს და მეტს ითხოვს და, როცა ოდნავ რაიმე დააკლდება მის გაზულუქებულ მოთხოვნილებას, გვერდზე იწყებს ქეპრას.



# სკანდალები

## კონგრესის მარჯვნივ

(პოლიტიკური კამფლატი)

ვაშინგტონი, მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქია, ასე ვთქვათ, — გული, ხოლო ვაშინგტონის გულია კაპიტოლიუმის ბორცვი და, აი, ამ ბორცვზე აღმართულ თეთრგუმბათოვან უზარმაზარ შენობაში ამერიკელი ხალხის რჩეულნი — კონგრესმენები განაგებენ ამავე ხალხის (და განა მართო საკუთარი ხალხის!) ბედ-იღბალს! მაგრამ კაპიტოლიუმის ბორცვზე მდგარ შენობას ყოველთვის კამათისა თუ დავის სიცხოველუ როდი აზანზარებს ხოლმე. ჟამიდან ჟამს შენობის კედლებში ისეთი სკანდალი იფეთქებს, მისი ექო მთელ ქვეყანას არყევს!..

შეერთებული შტატების კონგრესში ზნობრივი ნორმების აბურხად აგდება ზოგჯერ ისეთ ნორმებად იქცევა, რომ თვით ქვეყნის კანონმდებლებიც იძულებული არიან, აღშფოთდნენ საკუთარი ქვეყნის გამო როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში! ეს შემოფოთება და, უმთავრესად, შიში მომავალ არჩევნებში დამარცხებისა, აიძულებს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრებს, ნამსვე განირონ და სამარცხვინო ზომზე გააკრან გუშინდელი კოლეგა, თუ იგი „გონივრულად“ ვერ მოიქცა და სკანდალში გაეხვია!..

თურმე, ნუ იტყვიო და, პატივცემული კონგრესმენები მთლად გულგრილნი როდი



„თავისუფალი ქვეყნის“ საზოგადოებრიობას განსაკუთრებით აღაშოკოებს ხოლმე გადასახადების შეღავათები, რომლებსაც კონგრესმენები თავიანთი თავისთვის იმტკიცებენ ხოლმე. ახლა ისინი ცდილობენ, უარი თქვან ამ შეღავათებზე, თუმცა მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით როდი გაუკეთებიათ ეს. მიიღო, მაგალითად, ამას წინათ, კონგრესმა კანონი, რომელიც კრძალავს პირადი მოხმარების მიზნით არჩევნებისწინა კამპანიის შემდეგ დარჩენილი ფულის ხარჯვას, მაგრამ ეს არ ეხებათ 1980 წლამდე არჩეულ კონგრესმენებს!

აბა, მაშ, კანონმდებლები რის კანონმდებლები იქნებოდნენ, თუ კანონს გვერდი არ აუარეს! სულ რაღაც რამდენიმე საათი იყო გასული მას შემდეგ, რაც რეგანი ხალხს შეპირდა, მსხვერპლს გაეიღებ და მთავრობის ხარჯების შემცირებას დაეთანხმდებო, რომ სენატმა გააუქმა ყოველგვარი აკრძალვა იმ „მარცხენა“ შემოსავლების ოდენობაზე, რომლებსაც სენატორები იღებდნენ პიონორის სახით წარმოიქმნილი სიტყვებისა თუ სხვა გამოსვლებისათვის. სენატს, რა თქმა უნდა, არც წარმომადგენელთა პალატა ჩამორჩა: ამ გადაწყვეტილებათა მიღებას სულ რაღაც 30 წამი დასჭირდა (რასაკვირველია, ყოველგვარი დავისა და კამათის გარეშე!).

თუმცა ყველას როდი მოსწონებია ეს გადაწყვეტილებანი! კონგრესმენმა ჯეფორდსმა, მაგალითად, უკმაყოფილოდ თქვა, „კანონმდებელთა პონორარები მსოფლოდ და მსოფლოდ დაკანონებული მიართავიოოა!.. როცა ადამიანები, განსაკუთრებული ინტერესებისა გამო, მოკლე სიტყვისთვის ათას (და ზოგჯერ ორი ათასსაც კი) დოლარს იხდინან, ცხადია, ეს ხარჯი განუშლია კანონმდებლობაზე ზეგავლენის მოხაზვას! მიზნით“. გასულ წელს, მაგალითად, სენატორებმა მიიღეს: დო ლ მ ა — 66650 დოლარი, ჯექსონმა — 66250, ჰარნმა — 48000, სიმემ — 40700 დოლარი! რ. ლუგარმა, რომელმაც 399950 დოლარი მიიღო „პონორარის“ სახით, ისიც კი თქვა: „ძალიან მიყვარს სიტყვის წარმოთქმა... ახლა ჩავს ცხოვრებაში ის ხანა დაღვა, როცა დამატებითი შემოსავალი განსაკუთრებით მჭირდება!“ ვერაფერს იტ-

ყვი! — უჭირს კაცს და რა ქნას?! წარმომადგენელთა პალატის წევრმა გონსალესმა საკანს თავისი სახელი უწოდა: „პირდაპირი კავშირი არსებობს მსხვილ პონორარებსა და წარმომადგენელთა პალატის საგადასახადო კანონმდებლობის საკითხთა კომისიის წევრთა კანონის შესახებ შორის!“ ასეა თუ ისე, ახლა კანონმდებელი არავითარ კანონს არ არღვევს, თუ ხმას მისცემს კანონს, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, სარგებელს მოუტანს ან მას პირადად, ან მის ოჯახს!


არის კიდევ კონგრესმენთა შორის შემოსავლის ერთი „წყაროსთვალის“ — საზღვარგარეთ ოფიციალური მოგზაურობა! გადასახადთა ამერიკულ გადამხდელებს მარტო შარშან 150 კონგრესმენის ასეთი ოფიციალური მოგზაურობანი 2,8 მილიონი დოლარი დაუჯდათ! ამას თვითონ კონგრესმენებიც არ უარყოფენ!

„ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, — იგონებს წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი, — მამი (ვინ „მამი“, ცხადია. რქლ.) პროგრამაში კიდეც ერთი ძალაპი ჩართეს. უმრავლესობა უარი მთქვით ამ ძალაპის ნახვაზე. მოლა, ოთხი საათი ვიცადეთ, სანახ „ბოინგ-707“ ამ ძალაპში გადაფრინ-



ყოფილან წარკომანიისა და... მამათმელოების ცდუნებისადმი! თანაც საამისოდ სათანადო კონტინგენტიც შეურჩევიათ — შიკრიკი ბიჭუნები! ოფიციალურ კოლეგებთან ერთად შიკრიკი ბიჭუნები მარადილ დაატარებენ კონგრესის კაბინეტებსა და დარბაზებში კოკაინს, სათანადოდ ემსახურებიან ახუნტრუცებულ კონგრესმენებს მოსახვეწებელ ოთახებსა და კულუარებში!..

სკანდალი იქამდე გახმაურდა, ამ უკანასკნელ ხანს იმდენმა კონგრესმენმა „მიყენა ჩრდილი“ კონგრესს, რომ საქმეში „ყოვლისმცოდნე“ გამოძიების ფედერალური ბიუროც კი ჩაერია, თორემ თავად კონგრესი ყოველთვის როდი იჩენს ხოლმე ინტერესს იმისადმი, რომ მისი წევრების ზნობა არ იღვეს ზღვარზე, როცა მოქმედებას უკვე სისხლის სამართლის კოდექსი იწყებს. კაპიტოლიუმის ბორცვზე კანონმდებელთა ცუნდრუკს, საერთოდ, თითებს შორის უყურებენ! მაგალითად, მექროთამეობის გამო, 1789 წლის შემდეგ (პირველი კონგრესის მოწვევის წელი) არჩეული 10957 დეპუტატიდან მხოლოდ ერთი იქნა გაძევებული კონგრესიდან!



დაგოდა და შემდეგ უკან მოგვამითხადა და, იცით, რაში იყო საჩაქო? ზოგიერთი კონგრესმენის ცოლმა ისურვა ამ ძალაპის „ღათვალისადა“ საყიდლავის გამო, რაც პროგრამით გათვალისწინებული არ იყო. ცოლავის საყიდლავზე „მოგზაურობა“ გადასახადთა გადასხდელებს ათასობით დოლარი დაუჯდათ!

რას იზამ, მოსანონი გულახდილობაა, თუმცა ფრიად გვიანი და არავისთვის საჭირო „თავისუფალი მენარმეობის ქვეყანაში!“ ეს კია, არ შეიძლება, არ დაეთანხმო იმავე წარმომადგენელთა პალატის წევრს რ. დო უ ე ნ ს, რომელსაც გულისტკივილით უთქვამს: „სრულდება ლენინის ყველაზე არასასურველი წინასწარმეტყველება, რომ ჩვენ შიგნიდან დავკავებით!“

(უცხოეთის პრესის მასალავის მიხედვით)



# ნიუნია - „ქურის რეკლამა“

გაზატი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყებოდა: „მატარებელში გაცილებისას შეიღმა დედამ ბომბი ჩაუდო ჩემოდანში, რათა აფეთქების შემდეგ სადაზღვევო ანაზა თვითონ აეღო!“

ქვეყანაზე ყველაფერი ხდება, რა არ ხდება, ჩამოთვალე, ძნელია!.. მზე ბერდება, წყალი შრება, მინა ხმება, ყველაფერი ჩამოთვალე, ძნელია!..

ქვეყანაზე ხდება ყველაფერი, რა არ ხდება, ჩამოთვალე ძნელია!.. ნახევარი გამთელდება, ნახევრდება მოელი, ვერ შევლიან, ზოგჯერ უცბად შევლიან!

რასაც ვამბობ, ისიც ძველისძველია, რადგან მინა ბებერი და ბრძენია!..



ვიდრე ის თქვა ლექსში, რაც რომ... სჯობს დამუნჯდეს სამუდამოდ ენა!..

ინდიელის მოწოდება აშშ-ის ორასი წლის იანვარს ზეიმობ რადა?! ჩინ-მედლების გიყვარს ულარუნი?! თვალში რომ ჰყვავის ცრემლისმდენი კვამლის რტოები?! ჭირის ოფლისგან სახე, ტანი, გულდაღარული, მომლოდინეა შიმში დღეთა განმარტოების!

იგი დუმუზი, ენქიმდუ თუ საღვთო პინაკი, მიშტერებია განტყუების მყუდრო ხანუთროს, ამდენი ხანი? ორასი წელი ინდიელთა ნესტანს, თინათინს ქაჯა ურიცხვი ლეგიონი დაესაკუთრა! ციდან მინამდე კუდს შიითრევეს ღრუბელა ფლახი და სმენას კანრავს ძვალზე — ტყავი, ტყავზე კი — ხრტილი! ვინ გაგაღალა, გაცოდინა შენ შენი ფახი?! ზეიმობ რადა?! როცა ნარღვნა მოსკდება ტირილს?! დაბინდული გაქვს ნყვინადისფრად მზის ასაბიჯ, მუქს არ ირეკლავს ფირუზ-ლალი და ამეთვისტო! ასე მოვდივართ, მერამდენე წელიწადია, და ვვლარა ვცნობ, ვერა, ადრე მეომარ თვისტომს!

არტურ ვილსონი საგზოგზოზე ჩივის — ვინ გყავს პატრონად? — ვაი, მაფია!!! სამშობლო მას ხომ ფეხზე ჰკიდია!

აქვს სავალალო ბიოგრაფია, როგორც იტყვიან, კიტრად გყვინან!

ჩინ-მედლებსა და სახელ-დიდებას — პატრიოტობას დაჩემებულან!.. თუ აღშენებას ვინმე გპირდება, — დაქცევის ციხე აშენებულა!!!

პანდორას ყუთი ცარიელია და შამი მეფობს კვლავ განქიქების!..

რა ვითხრა?! განსჯა ერთობ ძნელია: რა იყავ, რა ხარ, ან რა იქნები!



ტალღას მიენდე, როგორც ნაფოტი, გველად გეხვევა ფითრი, სურო გარს და სახვალის დღის ეშაფოტი სანამლაგს განვდის — უცხო სურთგატს!

დიდი ხანია, კერძი იუდის გამხდარხარ განგხტერთ ჯიბის სავსებად! — დღეს ფილანტროპთა რომ საქმე მიუდით, — მალე ნასახლარს დაემსგავსები!

ვთქვათ: ტანჯვას ვინმე გაეკამათა ჰყვავის ღიმილი გესლშემპარავი: — მაფია უზის სუფრას თამადად და რამდენს გაძლევ, იცის არავინ!

პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი და მრჩეველი ფრინველი-ცეცხლი — (ელვარება უნინ) კეტცალი,

ლილაქვა, ჭარვა,

იასპა თუ ალმას-კრისტალი, იქ, დღეს, პრეზიდენტს უზის გვერდით

კანიფერშტანი და თვალს ავლებენ სამერმისოდ მომდგარ წლის თარიღს!..

კანიფერშტანი როშარია სილატაკ-ძროლის, რეჟისორია, მბრძანებელი — დადგმის თუ როლის! კანიფერშტანი მწერალია, დიპლომატია,

მოკლედ, ორივე მამამთავრობს კრულ დინასტიას!

ახარისხებენ თითოეულ შტატს ბარგი-ბარხანით; საბრძანებელიც იძარცვება, გადის რაც ხანი!


დღე ხვალისდელი — დღევანდელი რწმენის მხვევათი. პო, სახელმწიფო მდივანია კანიფერშტანი!

თითო-ორილა პოეტი თუ ტკივანსხარა, უპატივებლად პრეზიდენტის წინ რომ დამჯდარა.

ადგენენ გეგმებს — ვის, როგორ და... პრობლემებს ქმნიან და, უმიზეზოდ, ხშირად ბალზე ამყნობენ ქლიავს!

თავიანთ თავით კმაყოფილნი გახლავან მეტად და ასე მძლავრობს პრეზიდენტთან განგხტერთა სექტა!

ხალხი ღელავს და... მუსტშეკრული ამბობს: — როდემდის?! თუმც საბოლოო განაჩენსო დაველოდებით!



ქვეყანაზე ხდება ყველაფერი, გაუცხენოთ, ჩამოთვალეთ, ძნელია!

მაგრამ, მაგრამ ეს, ეს როგორ?! როგორ, რანაირად?! ფიქრშიაც კი გავეილეოთ წამით?! ვკითხულობ და თვალის ცრემლად ღვებამ!.. (ვინ უნოდებს ამგვარ სურვილს წადილს?! მინა უნდა იავარქმნან, მინა — მინისძვრებმა, თუ კაენის დაბოგინობს კიდევ მსგავსი ლანდი!

იბადება ხომ ნაყოფი სატანის და წყევლის, მაგრამ მაინც ამდაგვარი?! — ძნელია! სასჯელს რადა?! — სასჯელს როგორ ელის?! — გაფიქრებაც, გაფიქრებაც ძნელია!..

ეს — დანყველა ადამის ძის მოდგმის, ჭრილობიდან მარად სისხლის დენა!..

სჯობს გაქვავდე, ვით მუნჯია ლოდი, სამუდამოდ გაიუქმო ენა,





მთავარი რედაქტორი სარგები ბარუზდინი



პლაგიატისა და მისი  
საქმიანოვის შესახებ

— როგორ ხარ?  
რას აკეთებ? —  
ნაცნობს ვეკითხები!  
— არა მიშავეს,  
კარგად მძინავს,  
დილით გვიან ვდგები!..  
— კაცო,  
დღეს რა გააკეთე,  
ანუ ვის რა არგე?  
— დავიბანე პირი, მერე  
ვისაუზმე კარგად!  
— კიდეც?  
— კატას ვეთამაშე,  
გული შევიჯერე!  
დავილაღე და ლოგინზე  
ნამოვნევი მერე!  
— როცა დაისვენე?  
— ვისეირნე გარეთ,  
მაგრამ დავილაღე,  
შემოვბრუნდი მაღე!  
— კატის გარდა,  
მეგობარი  
ნუთუ არვინ არ გყავს?  
— არა, არ მყავს,  
მეგობარი არ მჭირდება, რადგან  
ჩემთვის, ძმაო, მეგობარი  
მოსანყენი გახდა!..

დმერთო ჩემო!  
ზოგიერთი ასე როგორ ნახდა?!

ს ა ზ ა მ თ რ ი

ტრაბახობდა საზამთრო  
ურცხვად ამდენ ხალხში:  
— რა მძიმე და მწიფე ვარ,  
შემომხედეთ ერთი!

დაუჯერა მყიდველმა,  
ძლივს ნაილო სახლში,  
როცა გაჭრეს, აღმოჩნდა  
ქალაღდივით თეთრი!



ხ ე ლ ე ბ ი

ბევრი არის მინაზე  
ფრინველი და ცხოველი, —  
თავის ნიშან-თვისებით  
განიჩრევა ყოველი..  
ლომი — უკვე ომი!  
ომი — ლომის საქმეა!  
ლომი თუმცა ლომია,  
მაგრამ რაღაც აკლია!  
სპილო მართლაც დიდია,  
დადის მეფურ იერით,  
წყნარია და მშვიდია,  
ხოლოთუმი აქვს ძლიერი!

აქვს აქლემსაც საქები  
ბევრი!  
კუზიც უხდება,  
მაგრამ რაა აქლემი?  
თანაც სულ იფურთხება!  
ყირაფს — გრძელი კისერი!  
ირემს — მარდი ფეხები!  
კურდღელს — ძილი ფხიზელი!  
გარეულ ტახს — ეშვები!  
ორბი არის, თუ ზებრა,  
არნივი, თუ არჩვია, —  
თავ-თავისი ღირსება  
სუყველას გააჩნია!  
მაგრამ არ აქვთ ხელები  
და არც შრომა იციან! —  
შრომის ბედნიერება  
მხოლოდ კაცთა ნიჭია!  
შენ კი, ძმაო, ამქვეყნად  
ცხოვრობ სააღალბედლოდ  
და ცხოვრების კიბეზე  
დახვალ სვენებ-სვენებით! —  
საქმე უნდა აკეთო!  
საქმე უნდა აკეთო!  
საქმე უნდა აკეთო! —  
იმითომ გაქვს ხელები!

თარგმნა ელდარ ქარქვაძემ



ანდრეი კრიშანოვსკი  
(უკრაინა)

ფ რ ა ზ ე ბ ი

- სუბიექტურად ჩვენ, ყველანი, ობიექტურნი ვართ!
- მისი დებოუტი გედის სიმღერით შედგა.
- ის ყოველთვის მომხრე იყო, ოღონდ არ იცოდა — ვისი და რისი.
- ტუშლინა, თითქოს ზოგიერთი აფორიზმი ზოგიერთ რომანს უღრიდეს! — ეს ჰონორარების უწყისმა უწყის.
- მისი რაში ფინიშთან პირველი იყო... უმხედროდ.
- სინდისი მასში თავხედური ხმით ალაპარაკდა.
- ისა გაიღეშა, გამოსაფხიზლებელშიც აღარ შეუშვეს.
- ეპიტაფია სცენარისტის საფლავის ქვაზე: „პირველად — უთანაავტოროდ“.
- გუნების ერთ-ერთი საოცრება — ჩაფიქრებული ბრიყვი.
- კვარცხლბეკში გათელეს.

უკრაინულიდან თარგმნა ვაჟა დოღბაძემ







მა თუ მიკითხონ, უთხარი, ღვართი არ არის-  
თქო!



# КРОКОДИЛ



— გადაწყვეითათ, დისერტაციის ღაცვა და ღუნარტაცია ანი  
ერთდროულად იყოს!





ნა. იული ანთონი

**რეალურ ალარი**

**გაეათო თუ არა ცხოველები?**

„უასლის ვადებში გვაცნობთ, გაათო თუ არა შინაური ცხოველები თუ გავთო, როგორ ექვეითი მათ და, თუ არა გავთო, რატომ არ შეიძენენ?“ — ამ, ცოტა არ იყოს, ოფიციალურ მიმართვას, რომელიც გახვითის რედაქციაში მოვიდა, ბჭეილიც თავის ადგილზე შეჩნდა და დანუსებულების უფროსის სოლიდური ხელთიპეც!

რედაქციის თანამშრომლები საგონებელში ჩაეარდნენ იფიქრეს, მიმართავა შეცდომითაა გამოგზავნილიო და სცდეს ტელეფონით გავრკვიავ სკიმის ეთიარება.

— როგორ თუ შევძომით? — იყო პასუხი, — ჩვენ არასოდეს არ გვცდებით და კეთილი ინებეთ, მიმართვას პასუხი გაეცით!

— უნდა უპასუხო — გადაჭრით უთხრა რედაქტორმა სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, — შეხვედრება და ასეთი რამები თქვენი კომპეტენციაა! სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მიმართვის პასუხის მრავალი ვარიანტი

შეგდა, ერთ-ერთი კი ამ შინაარსისა გაგზავნეს: „თქვენი მიმართვის საფუძველზე განცხადებით, რომ რედაქციის შტაბში ცხოველო არ ირიცხება შემდეგი მიზეზით: ცხენები, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვერ ავლენ ყოველდღე მუშიდღე საერთოდ და ვერც სარედაქციო მაგიადისთან დაჯდებათ დილიდან საღამომდე! თვის, კომბინირებული საკვებისა და ვიტამინიზებული ფუცილის სიმჭირის გამო, ვერ გავიჩინებ ძროხას, თორემ, იცოცხლა, კარგია ახალი რძე და მანონი სხვადასხვა პრობლემათა გამო, არა გვეყავს ძაღლები, კატები, ლორები, ბოცერები, თხები, აქლემები და წინაგები! ერთადერთი ცხოველი, რომელიც, ასე თუ ისე, შეიძლება შევავძინო რედაქციისათვის — დიდურა ვაზლავთი, მაგრამ იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, მასზე სოციალური ორგანიზაციაში, რომელიც ანალოგიურ მიმართვებს აგზავნის დიდი მოხონება, თავი შევიკავებ სხვაფრე ყველანაირად კარგად ვარო!“

**ჩვენი სტუპაკია**



**ისტორიანი „პიკერი“**

„პიკერი“ — მცხთამ ტეხელი, დაიბადა 1943 წელს სოლოღონი და სოფელუბნისა (დღეისთვის ადრინდელი მისი წინაარბი ბურჯულაძე ციხე-ნეთში); სოციალური მფლობელია — მუშაუღე-ხერი; საპროდუქტი არ უფილა მისი ბედი ამათი განსჯადებს წინამორბედი ბუჯურისკანს თითოეული ორსამეტი ვასამარბელს\* ბურჯულაძე რედაქციაში

დროს) ნაშუიდა საზღვარგარეთის მზავად ჯეჯანში მკაცრ შეგზამთა დიდი არბა, ანამეტი\* ხელმძობისა მხედვე გაავადსწინებელი აქვს საერთაშორისო ტურნე განბოიოზე გალოთი. უფროსი სფირი, მისწინეს სადგირი და დაწინუნე-დლა, რომ არხეზების ამ ორმედიდელ წილს განმავ-ღობნა ბერი ანტოპიდ ღირას!

ჩვენი მღაზნისი ახალ გამუღღველს ახალი ფასები მოკვეცა!

ჩვენი ახალ დიპლომის კი — ძველი ინტიდავები!

**მომარბხაულ ტურსმე-ცველს** სახელმწიფო ტუე საქმელ-სამეღდადა უოღებნი და ჩასატელ-დასამბოიავა-დაქ!

**მორიანა** ძველი ტომარასავით არის — რამდენი მეტს ბერტყავ, მბტი ბული ასლის!

**თავი** რაცა აქვს, ვერაგის უჩენებეს! სამაგერი-როდ, ცნით იტყვას ამ დანაკლმის!



**მღმეველი** თქვა — საქმე არაფერი მბქეს, უფროსობა შევბულუბნებია!

— თორიდე საათი გავიფირებ, სამაგერიოდ, მთელ საუენუნს ბედნიერად გავა-

ტარებს — თქვა ამპირანტმა დისტრტაციის დაცვის წინ!

**პეპელ** ზე ბუა, მაგრამ წრეულ მარზე არ არის მუ-

**იმპორისმბაზის** ბო-ცეპიან — სიციღლს არ უფერას ხელმძობს!

**ორი** ქალი შვილი და ერთი ბაბუქი შედნან ნაენი. ანთავთა ქერი — ახლა ჩვენი ნავი რომ გაღმარუნდეს, მე მოშველი თუ ინაპ? — ეცხთება ქა-ბეჭა ერთ-ერთი ქალიშვილი. — რა თქმა უნდა, ნაუ-თარ თავს! — იყო პასუხი.



ნა. უახო კობახია

**არკონული გიგლიოთეკა**

**პარი ლეკისბა**

**ყვავს კაპალი გააგზინა**

**მარტინის** დირექტორად დანიშნა მ დიდად გაზაზარ რენის!

„ — მართლაცა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, — ფიქრობდა, — იმოდენა ქარხანა ჩააბარეს ჩემს თანაკლასეს! არ შეიძლება, რაიმე საჩემო არ შეიძენეს!“

სოფლის ამხანაგს.

გოლოცვა! — მოხარული ვარ შენი ნაშემატების! მარტინმა მილოცვა მიიღო და ყვავა შესთავაზა.

ეჰ, არა, ძმობილო! განა მაგისტოვის მოვდიო რას უშვებს თქვენი ქარხანა? — ქარებს და ქაჩუკებს!

მანერებს რა თავენი ვიზილი ნუთო, რამე საჩემო არა გაქვს?!

— მარცხ?

— ელექტროსადენი, საღებავები, მისაპირკეთებელი ფაფი, ანჯამები, ერთი სიტყვით...

— არა, ასეთი რამ ჩვენთან არ არის!

— ნუ ნუნურაქობ! სანაწი, აღბობი გამობტინილი გაქვთ! ნუნას, აქეთ მობოლოიდა, დავინახე! სანუთთან მრტყვილა კანერებს ცლოდნენ დიდი სატვიროდანი!

— აჰ, ტოპტი მოუტყმანიათ!

— ტატიროსა გუმჟავად მინდა? მარტინ, ნუთო, არც იგზანები გაქვს, ან საზაზანის

ტელეფონ-ონკანი?! — ნელ-ნელა ბრახი მოსდიოდა რენის.

— გათხარო, მაგდაგვარი რამერუმები არა გვაქვს-მეთქი!

— არც მინა გაქვს, ან...

— მინას თითონ დავეძებ, შედანიეური ორიოდ დღის შემდეგ ენჯია კიდევ სოფლის ამხანაგს.

სე ხელცარიელს როგორ გამიშვებ? მარტინ, განა ჩვენ?

— ამა, რთი დავუცხარო, მისტურას! — ესე იგი, ხელცარიელს მისტურებ?!


— თავს ვერ მოერია რენი.

— არა, რატომ? საყარაულოსთან ყუთები რომ ანყვია, აილე ერთ-ერთი, ხელსანმენდი ჩვერბია მიგა, ამ დილით მოგვტანეს სამკერულო ფაბრიკიდან, გამოიყენებ რა-ღაცაზე?

ყვეს რომ კაპალი გაავადებინო, ისიც ხერიართ, გადნუცვტა რენიმა და უთო ნაილო. დიდი ჯახორის შემდეგ (საზოგადოტრანსპორტის სამი სახეობა გამოიკვალა) მიიტანა სახლი და უთოში, ჩვერბის ნაცვლად, სამშენებლო ნარჩენები აღმონდა, რაიც თავადვე თავზასსკულად შექონდა, რადგან მინ რემონტს აკეთებდა.

„პიკერის“ მხალხები თარგმანა

ღაწიტი ანასურაპაპა



ნა. ოლივია პალანისა





82

საქართველოში  
გვიღიანებენ  
როგორც უცხოელს!

ღვარამია ისე დამსაჯა, რომ ეს უკანასკნელი ათი წელია, გიგლა ფირცხალავას ქების მეტი, თითქმის არაფერი გამოიკეთებია! ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებს გიგლა ფირცხალავას აპოლოგიას შევაღებდი. მაგრამ ვის ვუსაყვედურო, როდესაც ეს საქმე თვით გავიხადე პროფესიად. ცოდვა გამხელილი სჯობს, არც გიგლა ფირცხალავას უთხოვია მაინცდამაინც, მაქეო! ერთხელ ისიც კი მითხრა: — რას მამადლი ამ შენს ქებას, თუ გინდა, სულაც მაგინეო! — და ახლა, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი, სწორედ ამ განზრახვით ვუზივარ საწერ მაგიდას. დიახ, გაბრაზებული ვუზივარ საწერ მაგიდას, კედლიდან კი დამცინავად მიმზერს გიგლა ფირცხალავას ხელით შესრულებული, შარვალშემოგლეჯილი, პერანგშემოფხრეწილი, წარბებაპრებილი, ბანჯგვლიანი, გაუპარსავი და თითქმის ფეხშიშველი ჩემივე კარიკატურა.

ეს ის კარიკატურაა, რომლის ნახვითაც შეძრწუნებულმა მამარჩემის ძმამ, ალიოშამ მკითხა:

- ვინ დაგხატა, ბიჭო, ასე?!
- გიგლა ფირცხალავამ! — ვუპასუხე.
- არ შემოუშვა სახლში! — თქვა მან და კარიკატურას თვალი აარიდა.

გარდა. ნათელ შუბლს  
შუბლი

უკვე სამოციის გამხდარა ჩვენი სახალხო მხატვარი — მისი სულივით დიდი და მისი გულივით მართალი! გიგლა — ჯანსაღი სიცილის ხორცშესხმა, ანუ გელოსი — უსაზღვროდ პოპულარული კაცია საქართველოში! ნახევარშტატობს დოცენტად სამხატვრო აკადემიას! არავის დამუქრებია, არავის დაჰქადნებია! წერს და აქვეყნებს სატირულ-იუმორისტულ მოთხრობებს, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს! გიგლას ერთ ლექსზე შეიქმნა შესანიშნავი სიმღერა, მას „სადღეგრძელო“ ჰქვია და ყველა ქორწილში იღვრება! თბილისში ფეხბურთს თამაშობს, კოცონთან ცეკვავს შატილში, როგორც ოსტატი სპორტისა, როგორც სახალხო არტისტი! ესპანეთს გახლდათ! მადრიდში ვიდოდა ძღვეამოსილი და აქუხებულ სტადიონს ესალმებოდა როსივით! ხელმარჯვედა სცემს ჩოგანსაც (ლექსი ხომ მისი პობია!), გიგლას ყოველმხრივ შესწავლას ვერ შესძლებს გიგლალოგიაც! მორს გავარდნია სახელი და დადის პირმოცინარი! პატარა ბავშვმაც კი იცის, გიგლა ბიძია ვინ არის! მოვლენილია ამქვეყნად სიცილის სამოციქულოდ და ნიანგელთა გვარდიას ლიდერობს სამოცი ქულით! ამშვენებს კარიკატურის მსოფლიო ანთოლოგიას! გულახდილად თქვა ბიდსტრუპმა: „გიგლა სუყველას გვჯობია!“ დღეს ჩემი გიგლა ბრძანდება ჩემზე ერთი წლით უფროსი მისი ერთგული ნიანგი ვლოცავ, ნათელ შუბლს ვუკოცნი!




— რა უცნაურად გამოწყობილა ბაბია თიბრონა?  
— რა ქნას, ჩვენი სოფლის მალაზიანი, ივანოტულის ბარდა, სხვა არაფერი იყიდა!









ტკბილ საქართველოს  
გულისთვის  
დაუცხრომელი შენება! —  
შენებაშია მშვენება!  
დროდადრო ოაზისივით  
იელვებს ტურფა ჩვენება! —  
ჩვენებაშია მშვენება!  
დავილალო, არ მითხრა,  
მურმან, სულ ბრძოლა  
გენება! —  
მაგ ბრძოლაშია მშვენება!

მურმან ლეზანიძე

## მურმან — ნახევრად სუპერმანი

**გამოცემა** „მურმანმა“  
(დირექტორი და მთავარი რედაქტორი — მურმან ლეზანიძე) გამოსცა მურმან ლეზანიძის არაჩვეულებრივი „რჩეული“.

როგორც ყოველთვის, თავისი ამ ნიგნის რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი, სატექსტო შრიფტის ავტორი, კლავიატურაზე ამწყობი, ჩამომსხმელი, დამკაბადონებელი, ასოთამწყობი, ელექტროცელოფანზე გადამღები, კორექტორი, რეტუსორი, მბეჭდავი, მკინძავი, გამომშვები — არის თვითონ მურმან ლეზანიძე; (სხვათა შორის, „რჩეული“ ავტორმავე აანყო გამსახკომის ნიგნის ფაბრიკის ფოტოსეზის მანქანებზე).

ყდა, ფორზაცი, ტიტული, ფოტოპორტრეტი, ღრმა ბეჭდვის, მაღალი ბეჭდვის, ოფსეტური ბეჭდვის, ფერადი და შავ-თეთრი ჩანართი ილუსტრაციები, ერთი ჩასადები საქართველოს რუკა წარწერით — „არავითარი სხვა სამშობლო, ამაზე მეტი, არ გამაჩნია!“ — ეკუთვნის მურმან ლეზანიძეს, ამასთან სპეციალური საბეჭდო ქალაქი — №1-60 X, 1/16 — თვითონ შეარჩია და იშოვა.

„რჩეული“ წარმოებას გადასცა მურმან ლეზანიძემ 1. X. 82 წ., ხელი მოაწერა დასაბეჭდად 2. X. 82 წ., დაბეჭდა 3. X. 82 წ., გაიტანა გასაყიდად 4. X. 82 წ. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 46, პირობითი საღებავგატარება 47, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 32,85, შეკვეთის № 294, ფასი 3 მან. 70 კაპ. — განსაზღვრა მანვე ისე რომ, გამსახკომი და მისი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამ საქმეში არ ჩაურევია.

დაბოლოს, მურმან ლეზანიძემ დაადგინა ტირაჟი — 3.131.000 ცალი (დაახლოებით იმდენი, რამდენი ქართველიც საქართველოში ცხოვრობს). „ურჩეულოდ“ დარჩენილი 619630

**10 წელიწადი უკვე იყო 09**

პოეზია ბატონ მურმანს აუფეთქდა ატომურად...  
ხანძარივით სახელი აქვს! — რომ ვთქვათ მისებრ ხატოვნურად  
ლომის ბრძლინვას, ვეფხვის ნახტომს ასტრიქონებს  
გადოსწურად...  
ზოგის ლექსი ავად რომ მხდის, მისი ლექსი ამ დროს მკურნავს!  
ცხელი სუნთქვით ასუნთქვინებს, რაც სულიდან ამოდრულა!  
გულით დააქვს ხანჯლები და სიტყვას გულის სისხლით სხურავს!  
ლექსის ხერხის უდარებლად მცოდნე არის რუსთველურად!  
დგას მტკიცედ და შეურყევლად საქართველოს სამსახურად!  
რაც ზეგარდმო ნიჭი არის, ყველა მასზე გარდმოსულა!  
ბევრი ჭირი გარდხიდა, ბევრჯერ იყო მარტოსულად!..  
თმაზე თეთრად დაათოვა საუკუნემ ქართოვლურმა!..  
თავის დიდ ერს — გულადს, პურადს მხარში უდგას ვაჟკაცურად!  
გენიოსთა ლექსებს თარგმნის დიდოსტატურ-ტკბილქართულად!  
ბავშვებისთვის წერს ბრწყინვალედ, მიმზიდველად, მაგნიტურად!  
ერისკაცის უუმძიმეს ტვირთს ატარებს ტიტანურად!  
სატირის და ირონიის თავზარდამცემს ავლენს უნარს!  
მისოდენი ენერგია აქვს მარტო მზეს, მარტო ურანს!..  
პოლემიკას გამართავს და — მოპაექრე ოფლში ცურავს!..  
ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის ვადლეგრძელებ ბატონ  
მურმანს!  
კიდევ ასწელს იცოცხლოს და დაისტამბოს ატომურად!

ზაურ ბოლქვაძე


# საქირაულო-ირონიული ლიწიკა



**უქულო** ღებულს  
ქუდიანი გლოლელი შეხვდა,  
თოვდა, ყინვავდა,  
ის უქულო ნიფელას ჩეხდა;  
გადავიდა  
ქუდიანი: „ამ ზამთარში  
ასე უშემოდ,  
თან უქულოდ რაფრად დარჩიო?!“  
უქულომ უთხრა:  
„რა მაქვს ღმერთთან სამდურავიო,  
ცარიელ საბჭელს  
რად სჭირია სახურავიო?!“  
მკითხველო ჩემო,  
ჩააკვირდი ორწვერს და ორკაპს —  
ხუმრობა ესე, ორმხრივ მჭრელი,  
ორლესულს მოშგავს;  
მახვილი სიტყვა,  
ელვარებით გლესკაცურ ხანჯლის,  
ვითომც უქულოს,  
მაგრამ იქვე ქუდიანს დასჭრის...  
ასე ხუმრობენ  
გულუბრყვილო ჩვენს რაჭულ მთებში  
ყრუ ხეობებში —  
ჭიორაში, გლოლაში, ღებში

კაცი — გაფუჭული დადის,  
კაცი — ღრუბელივით დადის,  
სპასალარის მიხრა-მოხრით,  
მკაცრი გამოხედვით ყადის...  
ანუ — არის ბრძენი ვინმე,  
ანუ — ქათოდ არ ღირს მჭადის,  
ამას ვწუხ და ამას ვსტირ მე —  
ჩვენი მოტყუება სწადის!..  
მაგრამ ოცი წელი გადის!  
ვთქვი თუ: არ ჰყავს მთქმელი მართლის,  
თვითონ კეისარმა უთხრას,  
რაკი წელიწადებს არ თვლისი  
მაინც — იანვრები ბარდნის,  
სდევს თებერვლებს ჭყაბი მარტის —  
არცა — ქვეყნის ბოსტანს ბარავს,  
არცა — ქვეყნის ვენახს ხარდნის,  
დღესა ყოველს ესრეთ სწადის:  
ზუსტად ნახევარზე ათის  
„ვოლგის“ სავარძელში ჯდება  
მიღმა — აბრეშუმის ფარდის.

1977



1977



ტარდაგებულის ყიდულობს  
გლეხი ცეცხლს და საჯახს,  
პურს ქარხნისას შვითსულობს,  
ცოტას კიდევ დიდგულობს,  
კიდევ თვალს ქაჩავს.

შაქარს ნყალში აზავებს,  
სვამს ქიმიურ მაჭარს,  
სვამს და კიდევ გაძალებს  
შხამს გაძალებს საზარელს  
შაქარ-წყალს და ჭაჭას.

გლოლას — ხარი დათვლილა,  
სორს — საერთოდ არ ჩანს;  
სოფლის დღეები დათვლილა,  
უღელი არ გათლილა,  
ტაბიკი არ გათლილა  
ოც წელიწადს რაჭას...

მეზვრევ, მეზრევ, მცნობელო,  
დრო დაგჭყვიც „შაიტ!“  
მარჩენალო ყოფილო,  
ან დაგვარჩენ რაით?!  
საით, საით, სოფელო,  
საით, საით, მშობელო,  
თუ კაცი ხარ, საით?!

1979

ვითომ ციხე ხარ ასაღებელი  
და ირგვლივ თათრის სპა-ბანაკია:  
შენ ზიხარ, შენთვის თავჩაღებული,  
ზურგსუკან — შენზე ლაპარაკია...

ლაპარაკობდნენ ქემანც მტრები!  
პირდაპირ გეტყვი, რახან აგრეა:  
მაგათთან თერები, მაგათთვის კვდები,  
რომ ჰკითხო, — ყველა ამხანაგია...

რაკილა პირში არავინ გეტყვის,  
ზურგსუკან გულში რაც სახაგვეა,  
არც საზარალო არ არის შენთვის,  
პირიქით — ბოროტს გზა ჩარაგვია...

მაშასადამე, რალაცად ღირხარ  
და შენი ყოფნა დასანახია...  
პირუმტკიცობას კაცისას სტირხარ  
მას, რომ...

წუმბეა და ტალახია!

1980

— რაფრად ხარ?  
— რაფრად ვიქნები?!  
— ხომ კარგად?  
— ასე, საშვალოდ!  
— ონს გაგირეკავს თიგნები!  
— პოი ბიჭი ფულს მწერს საჩქაროდ!  
— სხვაფრივ? სახლისას რას შვრები?  
— რას ვიზამ?! შეჯდენ უარზე!  
— წელსაც თავლია დარჩები!  
— აპა! ვარ ასე შუაზე:  
არც იქით — მჯობნის-მჯობნებში,  
არც მთლად ობლებში აღრევით,  
ვარ (თუ გინახავს!)  
ლობეში

გაკვეხებული ძაღლივით!

1977

ვცნობ წიგნის ჭივებს, —  
წაკითხული წიგნების ეშხით  
მათს რეშინგტონით  
(უცხოვრებლათ!) დანერილ წიგნებს;  
ვცნობ უნიგნურებს,  
მწარმოებლებს წიგნისას ჩეჩქად —  
ჩემი სალაპი  
წიგნიერ და უნიგნურ ჯიგრებს!..

მძაგ წიგნის ჭიაც  
(ეგ აზრს მაინც გაგიზიარებს!),  
მძაგ უნიგნურიც —  
წიგნებს წერს და მაღიზიანებს.

1977



ქართველები

ხმამ მსუყემ და ჯანიერმა  
მატარებელი შეჰყარა:  
— „ქართველები?! რაც ხალხი ვართ,  
იცის, ძამა, ქვეყანამ!

ორი კაცი სუფრას შეიქმს,  
სამი კაცი — ქეიფს!

ოთხი კაცი — არიფონს,  
ხუთი — პარტიას!  
ექვსი კაცი — მანიფესტს ვწერთ,  
შვიდი — ქართიას!..

ჩვენ რომ ასი კაცი ვიყოთ,  
ჩვენ რომ ერთი პირი გვექონდეს,  
არ გვეცალოდეს საქილიკოდ,  
თან — ბილიკიც ბილიკობდეს,  
მაშინ, მაშინ...“

— „რაი, მაშინ?!“  
— „რა და... ეუჰ, გიჟია!  
მომამშორეთ აი ბავშვი,  
ჩვენია თუ ალიფაშის,  
თუ კაცი ხარ, ვისია?!  
ჩემ თავს ველაპარაკები,  
ჩემთვის ვყვები, ბიძია!“

1979

თვეები დის და დღეები მიხტის  
უახლოვდება პოეტი სიკვდილს.

ეგ — არაფერი! ვინ არის იგი,  
ვისთვის შეცვლილა ბუნების რიგი?!

ერთხანს ვუსინჯე კიდევაც კბილი  
სიკვდილს — ვერ იყო ძილივით ტკბილი...

კი, ორჯერ-სამჯერ კინალამ მოკვდი,  
მაგრამ რაკილა კვლავ ხიდზე მოვხვდი,

ვუახლოვდები რაკილა სამოცს  
(სხვა საბატიო მიზეზთა გამოც!),

მე გადავწყვიტე სიკვდილი გვიან!  
კი, იმნაირი ქარები ქრიას,

მე უნდა ვნახო მზე, მთვარის სასძლო —  
ამ საუკუნის ბოლომდე ვავძლო!

ამ საუკუნის თოვლები ვალხო  
იმ საუკუნის გორები ვნახო.

მე უნდა ვნახო: კეთილს და ბოროტს,  
ვის რა მიეზღვის, ბოლოს და ბოლოს...

ვნახო სინათლე მშობელი ხალხის,  
ოცდამეერთის დავესწრო დილას

ათასწლეულის დაწყებას ახლის  
და მეერ მოვკვდე მშვიდად და ტკბილად



ოჯანსი

— ჩუმად! ბავშვი არ გააღვიძო!  
დაღლილია, გვიან დანვა დასაძინებლად!  
— მაინც, რამდენი წლისა არის,  
„ქალბატონო“, ეგ თქვენი „ბავშვი“?  
— ცხრამეტის გახლავს!..  
— არც მე ვიყავი ოცის, როცა სანგარში  
ვეგდე!..

ფუჰ! მეზობლები!  
მამა ვარო, შენც იტყვი კიდევ!

1969

მაგასთან გასერა არა ღირს —  
უშვერად ჩმახავს მალაყებს;  
არ არის შენი ბანაკის —  
სულ სხვას ეკუთვნის ბანაკებს;  
ველარ გაგრეცხავს არაგვი,  
მოგხვდება ჩქაფი ტალახის —  
გავთხვრის და გაგატალახებს!

1971

კაცი კაცს აქებს,  
გრძნობით ამბობს კაცისას სახელს,  
კაცი მეორე —  
ექვს თავისას დუმილით ამხელს;  
კაცი მესამე —  
კაი კაცად ათასგზის ნაკლებს  
ასახელებს და  
უქებს იმ კაცს მარჯვენს და საქმეს;  
კაცი მეოთხე —  
ის, რომელიც წაშვავს ნაღვინევს,  
იპურჭყება და  
გააფთრებით სამ კაცს აგინებს...  
მე სულ არ მიკვირს  
არსებობა სხვადასხვა აზრის  
შეფასებაში  
საგნის, საქმის, კაცის და ღვანლის  
და მელიმება:  
შენ რა დროშა უნდა გაშალო,  
რომ ერთის ფიქრით  
ეს ამდენი ხალხი გამსჭვალო,  
როდესაც  
ხუთი ჭინჭველა თავისთვის ციგნობს,  
საზრდოს მიათრევს  
და ხუთივე თავისას ფიქრობს?!

1978

„ზაჰვა —  
პირით სიყვარულსა იჩაქებდას,  
გულითა ბოროტი დანიმარსო...“

საბა


რა საჭიროა, რა საჭიროა  
მცხეთა, სამადლო, წყნეთი და ჭომა!  
სასაცილოზე სასაცილოა  
ჩვენი საერთო ტაბლასთან სხდომა!

მე მივაშურე საბას ტალავარს,  
სად მძრომთან ზაკვაც განიმარტების:  
„არცა კირჩხიბი მართლად არა ვალს,  
არც ძაღლის კული განიმართების!“

1971



თევდორე მაკივჩუკი „ნიანგის“ ძმა და მეგობარია — უკრაინული სატირისა და იუმორის ჟურნალ „პერეცის“ მთავარი რედაქტორი, თავად ხალასი უკრაინული, წინაკური იუმორით სავსე და გოგოლისებური ლიმილით სახეგაბადრული კაცი! თევდორე მაკივჩუკს ახლახან 70 წელი შეუსრულდა! ნიანგი უერთდება ჩვენი დიადი ქვეყნის მთელ სატირულ-იუმორისტულ სამშოს, მხურვალედ ულოცავს იუბილარს და ბადების დღეს და უბერებელ განწყობილებას უსურვებს კიდევ მრავალ წელს! ქართველი მკითხველი (და, რა თქმა უნდა, ქართველი იუმორისტებიც) მეტად საგულისხმოს ამოიკითხავენ თევდორე მაკივჩუკის ამ თვითკრიტიკულ გამოსვლას.



# პერეცს

## თ ვ ი თ კ რ ი ბ ი კ ა

ერთხელ რომელიღაც ბრძენს უთქვამს:

„ანაზღად თავზე ნიგნი თუ დაგეცა და იმავე წამს ხმა გაისმა, — ცარიელ ქვაბზე ჩაქურჩის დარტყმის მსგავსი, — ნუ რჩებრებ! — იგი ნიგნს გადააბრალო!“

ნაღლია! სწორად, ხატოვნად უთქვამს!

მაგრამ ზოგჯერ ისეთი სიტუაცია იქმნება, როცა ნიგნის და მხოლოდ ნიგნის დადანაშაულება გიხდება ხოლმე. ამ თვითკრიტიკულ აღსარებაში მეც სწორედ მათზე ვილაპარაკებ. დიახ, დიახ, სწორედ ჩვენს ნიგნებზე, ძმანო-იუმორისტებო! გულახდლიად გეტყვი, სიმათლეს არ დავერიდებო, თუნდაც ვინმეს ცხვირიდან ძმარი დადინდეს და ქედს არ მოგუხრი თვით დაბრინჯულ-დაბრინჯაობულ ავტორიტეტებსაც კი, თავი რომ გოგოლებად, ჰაშუკებად, მარკ ტვენებად წარმოუდგენიათ, მეტი თუ არა!

ჰოდა, რა გვესახება ჩვენ, თვითკრიტიკულად თუ ვიმსჯელებთ?

რა გვესახება და — ფრიად უღიმღამო სურათი!

იცოცხლე, ნაბეჭდ პროდუქციას დიდძალს ვცემთ. „მთლიანის“ მიხედვით ეს ციფრი სასურველს ბევრად აღემატება. და ამის გამო ჩვენს ძმათა შორის ისეთი ხოტბა-დიდებაც კი გაისმის, ცას წვდება ზოგჯერ. ხშირად ისე ვიკვებნით გამოცემული და ხელახლა გამოცემული ნიგნების რაოდენობას, ნორჩებს რომ სჩვევიათ ხოლმე, სწორედ, სათამაშოებით ტრაბახი:

— მე უკვე რვა ნიგნი მაქვს, აჰანდე!

— მე — ათი! ესეც შენ!

— მე — ჩვიდმეტი! ოლოლო შენ!

— მე — ოცდაათს გადავაბეტი! ბრანნი თქვენ!

ჰოდა, გეკითხებით: განა ის არის საქმის არსი, რამდენს ვწერთ?! კატეგორიულად ვაცხადებ, — არა! ნიგნის წერა მექოთნეობა როდია!

მთავარი ის არის, როგორ ვწერთ!

ვწერთ და არავის ეცინება! მოსაწყენად ვწერთ!

დიდინა ბელორუსულ ენაში არის ასეთი მახვილგონივრული გამოთქმა: „პიარო ნარიპელა“ („ინრიპინა კალამაო“). არ გეყენებათ, ძმანო იუმორისტებო, რომ ეს ჩვენს ბოსტანში ნასროლი ქვაა? ისეთი სუროგატები ჩამოაწრიბინეს კალამებმა, რომ მკითხველს ჩვენი ნაწარმოები კი არ აცინებს, თვით ნაწარმოებზე იცინის! არასასიამოვნო პარადოქსია, მაგრამ რას იზამ, სიმათლეს ვერსად გაექცევი!

ვგრძნობ, ძმანო-იუმორისტებო, რომ უკვე შავ ღრუბლებად იქუფრებით და, ეს-ესაა, თავს თქვენი რისხვაც დამატყდება მეხად.

— ეს დემაგოგიაა! ეს საკუთარ თავზე ლაფის დასხმაა! — იბლაღლებთ თქვენ.

— მოიტა არგუმენტები!

— ფაქტები ჩამოყაჭე!

ნუ ცხარობთ, ძმანო-იუმორისტებო! — იქნება არგუმენტები! მოგართმევთ ფაქტებსაც! მოგართმევთ, ფიქრი ნუ გაქვთ!

დროდადრო მიყვარს ხოლმე საკუთარ ბედნიერ მომავალში შეჭვრეტა და ამ მიზნით მოცალეობის უამს პარკში შევივლი, ჩვენი უნივერსიტეტის წინ რომ მდებარეობს...

(აქ ნიანგმა სთხოვა ბატონ თევდორეს და იგი კივიდან ქუთაისში ჩამოიყვანა — ბაღის კიდეზე გაასვირნა).

...აქ იმართება დისკუსიები და პოლემიკური შეხლა-შემოხლა პოლიტიკისა გნებავთ, თუ ეკო-

ნომიკის, ლიტერატურისა, თუ ხელოვნების ყველა ასპექტში. აქ ირწევა ყველაზე ცხელ-ცხელ ახალი ამბების აკვანი. აქ გავიცანი მე საოცრად კოლორიტული წარმომადგენელი ბაღის კიდის ავანჩავანთა. კერძოდ კი. სახელგანთქმულ ჭიჭიკიას დავუძმაკაცდი!

იცოდეთ, იგი არ განეკუთვნება იმ ხალხის კატეგორიას, ყველაფერ დღევანდელს რომ აბიაბრუებენ და ხოტბას ასხამენ ყველაფერ ძველს. იგი ჭიჭიანი, გონებაშახვილი, კეთილი და საშინლად სიმპათიური კაცია. მისგან ვერ გაიგონებ „მწვანელია. ბიჭო, ეგი?! მწვანელი შენ უნინ უნდა გენახა!“

ჰოდა, ვსეირნობთ ერთ შაბათ დღეს მე და ჭიჭიკია ბაღის კიდეზე, მივიკითხ-მოვიკითხეთ იმ მთისა, ამ ბარისა და შემდეგ ლიტერატურას გადავწვდით. უყვარს ჭიჭიკიას ლიტერატურა, ძან უყვარს!

— რა დაწერეს ახალი ჩვენმა სიცილის ოსტატებმა? — მეკითხება იგი.

— წერენ, ჩემო ჭიჭიკია, — ვუუბნები, — წერენ, აცინებენ ხალხს, ვშოულობთ ლუკმაშურს!

— აცინეთ, ბიჭებო, აცინეთ! თქვენი იუმორი ძან გვეხმარება, მართალი გითხრა, პოეზიების აღზრდაში! ა, ჩემი შეილიშვილი ეილეთ! მოკალი და ვერ დააძინებ მაგ ლანირაკს, რამე თანამედროვე იუმორისტული თუ არ: წავუკითხე. მომისმენს, მომისმენს და გაიტვირინება თავვივით. ძინავს მერე დილაგდე, ათოთლიან თამადასავით.

ერთ ამბავს მოგიყვებო: ამას წინათ სახლმმართველობაში ამხანაგური სასამართლო მოვუწყვეთ ერთ გამოუსწორებელ ლოთს და მუქთახორას. ხული განია, ბატონო, აკლებული ჰყავს საკუთარი ცოლ-შვილიც და მთელი ეზოც. მერე არ იტყვი, რას ჩემულობს? — ლირიკოსი ჰოე-

ტი ვარო, დოუჩეშვილია, ჩემი ნიჭის კაცი დედოქონის ზურგზე არ დაიარებაო! ჰოდა, მოაბრძანეს სასამართლოში.

ერთმა სიტყვამი — გამოსულმა თქვა, სისხლის საშროლის ბა-სუხისგებაში მივცეთ და პროკურორმა უპატრონოს შავ უპატრონოსო! გავიგონია?! ყურიც არ გაუპარტყუნებია! ზის გაბოროსა-ლებული და იტყანება უშნოდ სხვებმა თქვეს, წინადადება შე-მოგვაქვს, მილიციის ორგანოებს გადავცეთ მაგის საქმე, ქუთაისიდან გაასახლონო! შენც არ მომიკვდე! — შეაყარე კედელს ცერცვი! ვილაცამ იყვირა, იძულებით სამკურნალოდ გავგზავნოთ! — ნოლ ვნიმანიე!

მაშინ ნამოდგა ამხანაგური სასამართლოს წვერი, ესტრადაზე მსახიობობდა კაიხანს, პენსიაზე: ახლა, ბენედიქტე ჩანთაძე.

— კმარა, ბატონებო, — გვეუბნება, — სანამდი უნდა ვუგოროთ ამ ვივინდარას ნითელ კვერცი?! ალივსო მოთმინება! ფიალა! ორივე ხელს ვუნევი იძულებით მკურნალობას, მარა ეს ცოტაა! მოდი, ასე ვქნათ: სანამდე იჯდება და იმკურნალებს, აიძულონ ყოველდღე, რვა-რვა საათი თანამედროვე იუმორი იკითხოს!

ჰოდა, მაშინ იყო, რომ წამოხტა და იბლაგლა ბონდოია გიჟმა:

— რეიზა, ძმებო?! რას მერჩით?! რა დაგიშავეთ?! მღუპავთ?!

მომიყვა ამ ამბავს ჭიჭიკია, ერთხელაც არ დაუჭყანია, ისე, მაგრამ მე ჩემი დამემართა, ჯობდა ჩემთვის შარვალი ჩაეხადათ და მუგუზლებზე დავესვი. „სწორედ ეს არის არგუმენტები, — ვიფიქრე, — სწორედ ეს არის ჩვენი ოხუნჯობების უნამდვილესი ატესტაცია!“

(აქ ნიანგმა პატივცემული თევდორე ისევ კიევიში, თავის სამუშაო ოთახში გადააფრინა).

...მაგრამ ღვთის სამსჯავროზე ჯერ კიდევ არ გამოიმჩნა მთავარი არგუმენტი — ყოველმა თქვენთაგანმა იცის იფიქრე ნათქვამი: „გავსკდი, იმდენი ვიცინე!“, „კაი, აღარ შემძლია! მოკვდი, ნულარ მაცინებ!“

ცხოვრებისეული პრაქტიკა კი სულ სხვას დალადებს. ხოლო იგი იმას დალადებს, რომ ამქვეყნად არსებობს სიკვდილის ორი ვარიანტი: ვთქვათ, „გარდაიცვალა მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ“, ან „მოულოდნელად გარდაიცვალა“. ჰოდა, მაჩვენეთ ერთი ნეკროლოგი მაინც. ასე რომ იწყებოდეს: „ღრმა მწუხარებით ვიუნყებით, რომ იუმორის საღამოზე მწერალ პავლე ოხუნჯავილის გამოსვლის შემდეგ, ფიზიკური და შემოქმედებითი აყვავების ხანაში, ჰომერული ხარხარის დროს გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი და დაუვინყარი მავანი და მავანი“. არა, ვერ ნაიკითხავთ ჯერჯერობით ასეთ ნეკროლოგს!

ჰოდა, მითხარით, აბა, ძმებო-იუმორისტებო: რის მაქნისი იუმორისტები ვართ ამის შემდეგ ჩვენ?!

თარგმნა უნ-მამ



# ისარგაყრილი გული

(უმაღურის მონოლოგი)



ღია გარათი ცეკავშირის  
გაგაგობის თავგაგლოგარას —  
აგვ. კიბა შავიკვილს

ხევესურებო, ტაში, ტაში,  
სიმღერა და ცეკვა ხშირი! —  
რაც დაგვენგრა ჟამთა ცვლაში,  
აგვიშენებს ცეკავშირი!

გბობოქრობდით: „რად  
მიგვეჭირდა,  
შავი ბედი რად ქედმაღლობს?!  
მამაპაპურს ვინ მოგვეყვითა  
საცხოვრისს და სამოსახლოს?!  
რაც უნდოდა შატილიდან  
ხევესურს სამგორს თუ  
სადახლოს?!“

ხევესურთ მხსნელად  
მოგვივიდა, —  
„ვინ მდებალი აღამაღლოს!“  
ბრძანა: „ციცქა სადაც მკიდა,  
მკოს იქვე, ან იმის ახლოს!  
არც ბარიდან და არც მთიდან  
ხევესურს ხელი არვინ ახლოს!“

დაევალა ბატონ კიტას, —  
კვლავ ხევესურეთს  
დაგვასახლოს!..  
და ეს კუთხე, „ერთი ციდა“,  
ააყვავოს, განაახლოს!

ხევესურებო, ტაში, ტაში,  
სიმღერა და ცეკვა ხშირი! —  
რაც დაგვენგრა ჟამთა ცვლაში,  
აგვიშენებს ცეკავშირი!

პატივისცემით —  
ალექსი ჭინჭარაული  
18. 9. 82 წ.

„ნიანგის“ მინანქრი

ხევესურეთი ხომ იშვილე,  
ააშორე შავი ჩრდილი?! —  
მოდი, ფშავი მიუმატე  
და იქნები ფშავიშვილიც!

წამოვიზარდე თუ არა, ცხოვრების გააზრება ვცადე: სულ პირველად ისარგაყრილი გული დავხატე — ლალატის სიმბოლო! ახლაც არ ვიცი, რამ დამახატინა!..

წარღვნა რომ დაიწყო, გუშინდელივით მახხვებს, დახლიდარად ვყავდი ბიძაჩემს. მალე საკუთარი დუქანი უნდა გამეხსნა აი, სწორედ ამ დროს მომისწრო წარღვნაში — მოდიოდა და მოდიოდა ჰკუისსასწავლებელი კანონები: ვის რას ართმევდნენ, ვის — რასა!.. ბიძაჩემისეული დუქნები და სამიკიტნოები ზედიზედ დალუქეს!.. ვიფიქრე, სახლიც არ წამართვან-მეთქი!..

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ისევ მომადგნენ წარღვნის სპეციალისტები, სახლი უნდა დაგინგრიოთო! რას მერჩით-მეთქი, აყვირდი!.. თბილისი იზრდება, ეს ადგილი გვეკირდება და უნდა შეგვასყიდოს!.. მატყუებდნენ, ვაშენებთო, თორემ, დანგრევის მეტი, რა შეეძლოთ?! მამასიხხლად დავუფახე, თითო ძირი ჭანჭურვი ორად მივუთვალე!.. შეისყიდეს ჩემი ცოლ-შვილი კი ახალ ბინაში შეასახლეს, სადაც, ხილს გადაღმა!.. სწორედ იმ ხანებში გვეურქამ სახაშეში მიმიწვია ვაკანტურ თანამდებობაზე!..

სამსახურში თანდათან დამაწინაურესი დავრწმუნდი, რომ დახლიდარად ვიყავი დაბადებული! ხალხისათვის სული არ მშურდა! სული კი არა, ძეხვს რომ ვჭრიდი, ზოგჯერ საკუთარ თითებსაც თან ვაყოლებდი, მე კი მხოლოდ ხელის ჭუჭუი მრჩებოდა!

ისევ მომადგნენ, ქალაქი იზრდებაო! მამასიხხლად დავუფახე ყოველი ჭირკაი!.. კიდევ ერთხელ შემისყიდეს ცოლიან-შვილიანად და მეხუთე სართულზე, ხუთოთახიან ბინაში ამომაცივინეს თავი ამ სიმაღლეზე რა გამაძლებინებდა?! წავედი, მტკვრის პირას ისევ ჩავთხარე სორო, ცოლ-შვილი იქ გადავიყვანე, ხუთოთახიანი ბინა კი ერთ კაი ჭველს „დავუთმე“, ახალი შერთული ცოლი ჰყავს, გაიხაროს-მეთქი! მადლობაც არ უთქვამს!

მერე მე და გვეურქას ბიჭმა ჩანთების საქსოვი „ცეხი“ ვიყიდეთ. ჯერ საპნის ბუშტივით გაიბერა ჩვენი საწარმო, გადიდა, მერე კი დაიჭექა და გასკდა!.. აფეთქების ტალღამ შორეულ აღმოსავლეთში გადაგვისროლა და კაი თხუთმეტი წელი მოვუნდით უკან გზის გამოვნებას!..

ჩამოვედი და, რას ვხედავ: ჩემი ნასახლარი მიუსწორ-მოუსწორებოთ და ბეტონის საძირკველი ჩაუყრიათ, ჩემი დაობლებული ცოლ-შვილი კი სადაც დიდ სახლში დაუბინავებიათ! წავედი და ისევ წინ გადავედობე ქალაქს, ცხვირწინ ჩავთხარე სორო და ცოლ-შვილს მივაკითხე, წამოდით-მეთქი! თავი შორს დაიჭირეს და აქეთ დამიწყეს ჰკუის სწავლება, გეყო ქვეყნისა და ხალხის ყველაფერი! ხელდა შენა?! დასჯილი და შესაცოდი მე ვიყავი, იმათ კი მთავრობა შეიცოცხლეს! მოდი და დაწარდე შვილები!

ბოლმა გულში დავიგუბე და ჩემი ახალი სოროსაკენ წავედი. ვინც წლით სივდებოდა, მე — დღითა, თვლები აღარ მიჩანდა, ღვინით სავსე რუმბს ვვავდი, სინამდვილეში კი სხვა რამით ვიყავი სავსე — ბოლმა მახრჩობდა!..

ცოტა ხნის შემდეგ ვილაცხები შემოვიდნენ და თეთრი ხალათებით გააშუქეს ჩემი ჩაბნელებული სორო!.. ციმციმ გადამიტანეს მანქანაში!..

პირველი არ გვლებულობს, არც — მეორე, მთავარში წავედით! — უთხრა შოფერს ექიმმა, რომელიც რადიოთი გადასცემდა, მძიმე ავადმყოფი მოგვეყვოსო! მივჭროდით და აღარ თავდებოდა მრავალ სართულზე და ცაში აწეული ქალაქი, აღარც მანქანები! ნიაღვარი ცოტავდებოდა და აღარც — ხალხისა!.. ერთი ხანობა ვიექვე კიდევ, ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყო-მეთქი?

მერე საოპერაციოში ვიწექი და ჭერის სარკეში ვხედავდი, რომ ბლომად ექიმები მეხვივნენ, მეალერსებოდნენ, მეხუმრებოდნენ, მე კი სულაც არ ვიყავი ხუმრობის ხასიათზე! მართალია, შოფერმაც არაფერი გამომართვა აქ მოყვანაში, მაგრამ განა ყველა ეგეთი გამოდგება?! აბა, ამ შუალამისას, სულელები ხომ არ არიან, რომ ლოგინიდან წამოცვენნიდან და მე დამტრიალებენ?! — ფულის გულისთვის ირჩებინა მარტო ის მიკვირს, ნისიად როგორ მენდნენ! ოპერაციამ გათენებამდე ვასტანა!..

მერე საწოლზე ვიწექი, მუცელში რეზინის მილი მეკეთა, ბოლმისაგან ვიცლებოდი და თანდათან ვცხრებოდი!.. ექთან მადგა თავს, გავუშინაურდი და ვკითხე, რა ელირება-მეთქი?! ჯერ ვერ გაიგო, რას ვეკითხებოდი. მერე, რომ მიხვდა, საფეთქელთან დაიტრიალა ხელი: შენ ჰკუაზე მხიარულად ხომ არა ხარო?

ახლა ვწევარ, ბოლმისაგან ვიცლები, ნაირნაირებს მივირთმევ და მიკვირს, რას მელოლიავებინა, რაში მაჭმევენ პურსა, კაცო?! ამიკრან გულა-ნაბადი და გამისტუმრონ საიქიოში! ეგ კი არადა, პენსია უნდა დავინიშნოთო, მაიმედებენ!

ელაგუჯა მირაბაიშვილი



## გიორგი ლეგანიძეს —

გაზეთ „პრავდის“ საქუთარ  
კორესპონდენტს საქართვე-  
ლოს სსრ-ში, საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოს პრე-  
მიის — „ხუთწლედის მატია-  
ნის“ ლაურეატს

არის ნამდვილი მწერალი  
და დიდებული პრავდისტი!  
მისი ცხოვრების დევიზი  
იყო და არის „ძმა — ძმისთვის!“

ხელწიფება ნამლობა  
ჩვენი წყლულის და სატკივრის!  
მძაფრ ფელეტონებს აზაგებს  
იუმორით და სატირით!

ალერსით გოგას ვეძახით,  
გვეფრქვევა მართალ აზრებად!  
ხელი ხელს აგოგავები  
დანერა წიგნი „დაძლევა“!

მთხოვნელებს თბილად ეპყრობა,  
არვისთვის შეუღრენია!  
გოგასთვის უპრიანია  
ყველა ჯილდო და პრემია!





7-82

82-779

თავისი არსებობის წყლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლება ბევრ „კვაროსანს“ გადაჭყრია. და კარგად არის ცნობილი, რით დამთავრებულია მათი ლაშქრობანი.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ასე იყო, ასე იქნება!

სატირისა და იუმორის  
 ჟურნალი «ნიანგი»  
 № 23-24. (1634) ლექსები  
 გამოდის 1925 წელს

**მთავარი რედაქტორი  
 ზაურ ხოლმეძაძე**

**საკრებელი  
 კოლეგია:**  
 ვახუა ამირეჯიანი,  
 ნოზი ბარბაქაძე,  
 ზორის ბუგაშვილი,  
 ნოდარ ღვინჯიანი,  
 რევაზ თვარაძე,  
 ჯემალ ლოლაძე,  
 ნოდარ მალაზონია  
 (მხატვარი-რედაქტორი),  
 ალექსანდრე სამსონია,  
 ბერძენი სინაბულიძე  
 (მასუხიშვეთელი მდივანი),  
 ვიკტორ ფირცხალავა,  
 ჯანაშვილი ჩარკვიანი,  
 თამაზ წიგნაძე,  
 ვახუა ჯანიშვილი  
 (მთავარი რედ. მოადგილე),  
 ნაზი ჯუსთოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
 მინილ კახლაშვილი

გამაერთავეს ასაქმობად  
 3.11. 82 წ.  
 ხელმოწერილია დასაბამად  
 15. 12. 82 წ.  
 კალაღის ჯომა 70x100  
 ფიჭობური ნაბეჭდი  
 ფურცელი 1  
 სააღრიცხვო-საბაკომოცემლო  
 თაბანი 2,4  
 საქართველოს კვ ც-ის  
 გამომცემლობა  
 ლენინის ქ. №14,  
 შეკეთა № 2639 უკ 14038  
 ტირაჟი 145.000.  
 ეურნალი გამოდის  
 თვეში ორჯერ.  
 რედაქციაში შემოსული  
 მასალები ავტორებს  
 არ უბრუნდებათ.

**ჩვენი მისამართი:**  
 380008, თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი, № 42.  
**ტელეფონები:** მთავარ  
 რედაქტორის — 99-55-54, მთ.  
 რედ. მოადგილის — 93-19-42,  
 პ/შ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,  
 განყოფილება გაზეთების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავე-  
 ბის — 99-02-38, მდივანი-შემწე-  
 ჯანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
 журнал «НИАНГИ»  
 (На грузинском языке)  
 Тбилиси, пр. Руставели № 42.  
 Издательство ЦК КП Грузии  
 Типография Издательства ЦК  
 КП Грузии, Тбилиси, улица  
 Ленина № 14.

ფასი 40 კპა.  
 ინდექსი 76137

774  
 20.11.82